


ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრები
და სასულიერო ჰირები
XIX საუკუნის დასაწყისში
საარქივო მასალები



Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of Art History and Theory

**Churches, Monasteries and Clergy
of Lechkhumi
in the Early 19th century**

Archival Materials

Edited By
Julia Benidze, Tamar Letodiani,
Zaza Skhirtladze and Natela Jabua

**Tbilisi
2024**

ლექსუმის ეკლესია-მონასტრები
და სასულიერო პირები
XIX საუკუნის დასაწყისში
საარქივო მასალები

გამოსაცემად მოამზადეს
ჯულია ბენიძემ, თამარ ლეთოდინმა,
ზაზა სხირტლაძემ და ნათელა ჯაბუამ



წიგნი მომზადდა და გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი FR-21-14253: „ლეჩხუმი: შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა“).

The book is published by the financial support of Shota Rustaveli National Foundation (Grant FR-21-14253: “Lechkhumi: Medieval Cultural Heritage”).

დაკაბადონება გიორგი ბაგრატიონი
Layout by Giorgi Bagration

გარეკანზე – თაბორის ღმრთისმშობლის ეკლესია (თამარ ლეთოდინის ფოტო)
Cover – The church of the Virgin in Tabori (Photo by Tamar Letodiani)

საავტორო უფლებები დაცულია

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მონწყობილობაზე ჩანერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლებების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე

All rights reserved

No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior permission of the publisher

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტი, 2024

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Art History and Theory, 2024

ISBN 978-9941-8-6835-1


შესავალი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ლექსუმი: შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში საარქივო დოკუმენტების შესწავლისას მოპიებული იქნა მრავალმხრივ საინტერესო მასალები. მათ შორის მონაცემთა სიუხვითა და მნიშვნელობით გამორჩეულია საბუთი, რომელიც დაკუთვნილია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, სახელდობრ, საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი მმართველობის – საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ფონდში. ესაა რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ სამეგრელოს ეპარქიაში შემავალი ეკლესია-მონასტრების აღწერა და მონაცემები იქ მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ (ფონდი 488, ანაწერი 1, საქმე 812). ამ ვრცელ დოკუმენტს აქვს რუსული სათაური – *Описание Церквам и Духовенству Мингрельской Епархии 1826 года – სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიასა და სასულიერო პირთა 1826 წლის აღწერა*, თავად ტექსტი კი ქართულად, მხედრულით, არის შესრულებული. საყურადღებოა, რომ დოკუმენტის პირველ გვერდზე მოცემულია კიდევ ერთი თარიღი – 1822 რაკ, აღწერითი სამუშაოების დაწყების დროს უნდა აღნიშნავდეს.

ამ რიგის დოკუმენტების შედგენა, XIX საუკუნის მეორე ათწლეულიდან მოყოლებული, საქართველოს ეკლესიის ახლად დამყარებული მმართველობის – საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით, სისტემატიურად ხდებოდა და იმჟამად მომქმედი სხვადასხვა ეპარქიის ეკლესია-მონასტრებს მოიცავდა. სამეგრელოს ეპარქიის ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირთა აღწერა გამორჩეულია თავისი მოცულობით – იგი 87 გვერდს მოიცავს. მათ შორის ლექსუმის ეკლესიების აღწერა 30 გვერდს იკავებს (გვ. 58-87). ამ მონაცვეთის დასაწყისში მოცემულია განმარტებითი სათაური – „აღწერისა მისის უგანათლებულესობისა მთავრისა ჩვენისა ღენერალ ლეინტელანტისა ლეონ გრიგოლის ძის დადიანის სამფლობელოს ლექსუმის ეკლესიებისა და ეკლესიასა შინა მღებარისა ხატ ჯვარისა და სხვისაცა ნივთისა და სამღუდელოებისა“.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია დოკუმენტის სწორედ ეს ნაწილი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს ლექსუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სასულიერო პირთა შესახებ.

საბუთი ნაწერია მოყვითალო ფერის დიდი ზომის ფურცლებზე (ზომა 34.5 x 22 სმ.). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაკული იმ პერიოდის დოკუმენტთა უმეტესობა მსგავსი ფორმატის და ფაქტურის ფურცლებზეა შედგენილი. დოკუმენტის უმეტეს ნაწილს ცხრილის სახე აქვს; ტექსტი ნაწერია შავი მელნით, წვრილი, კალიგრაფიული მხედრულით. მონაცემები თითოეული ეკლესიის, მისი სიძველეებისა და იქ მსახურებელ სასულიერო პირთა შესახებ ერთმანეთისგან გარკვეული ინტერვალებით, ჩაჩოვებითა და თარაზული ზოლებითაა გამოყოფილი. ტექსტში სამეგრელოს და ლექსუმის ნაწილები განსხვავებული ხელითაა შესრულებული.



საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №488
 (საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია), საქმე №812, გარეკანი

დოკუმენტში აღნუსხულია ლეჩხუმის 71 ეკლესია, თუმცა ტექსტის ბოლოს ცაგერის საეპისკოპოსოს სამი საბლალოჩინოს სიაში მხოლოდ 66 ეკლესიაა ჩამოთვლილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეკლესიების და სასულიერო პირების შესახებ მონაცემთა წარმოდგენის წესი. ფაქტობრივი მასალა მოცემულია შემდეგი თანმიმდევრობით: 1. მონაცემები საეკლესიო ნაგებობის შესახებ; 2. ეკლესიაში დაცული სიწმინდეების ნუსხა; 3. არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი ნაგებობი და საფლავები; 4. მონაცემები იმჟამად ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ.

ეკლესია-მონასტრების, მათი სიწმინდეების, ისევე როგორც იქ განწესებულ სასულიერო პირთა შესახებ მონაცემები, საბუთში თანაგვარი მიმდევრობით არის მოცემული და დახასიათებული: აღნიშნულია ეკლესიის ადგილმდებარეობა და ლანაშაფტთან მიმართება; სახელდება, მისი

მაშენებლის ვინაობა; ძველი ეკლესიების შესახებ საგანგებოდ არის მითითებული ის ფაქტი, რომ სიმეფლის გამო აღმშენებლის სახელი არ არის ცნობილი. შემდგომ მოკლედ და დახასიათებული თავად ნაგებობა, მითითებულია მასში მოხატულობის არსებობის შესახებ.


ეკლესიაში დაცული სიწმინდეების ნუსხაში ჩამოთვლილია ხატები (მოცემულია ზომები, აღნიშნულია ფერწერულია თუ ჭედური, მითითებულია მასზე პატიოსანი თვლების არსებობის თაობაზე და აღნუსხულია მათი რაოდენობა; საეკლესიო ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნები და მათი რაობა; ჯვრები, სასანთლეები, სადმრთისმსახურო ნივთები და ა.შ. ნუსხას აგრძელებს სამღვდელმთავრო და სამღვდლო შესამოსლის ჩამონათვალი; დასახელებულია თითოეული მათგანი – სტიქარი, ოლარი, სარტყელი, ენქერი და სხვ.; მითითებულია ქსოვილის სახეობა და მისი შემკულობის მხატვრული ხერხები (პატიოსანი თვლები, ოქრომკედი და სხვ.).

ეკლესიისა და მასში დაცული ნივთების შემდგომ აღწერილია არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი სხვა ნაგებობები – გალავანი, სამრეკლო, ეკვდერი, სენაკები და სხვ. ასევე საგანგებოდაა ნახსენები ეკლესიაში თუ მის ეზოში არსებული საფლავები, დასახელებულია იქ დაკრძალულ პირთა ვინაობა.

საბუთის ერთ-ერთი საგულისხმო ნაწილია მონაცემები იმეამად ლეჩხუმის თითოეულ ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ. ჩამოთვლილია გვარ-სახელები, აღნიშნულია სასულიერო წოდება, ასაკი, განათლება. მითითებულია თუ ვის მიერ იქნა სასულიერო პირი ხელდასმული. ასევე შეკრებილია ცნობები მათი ოჯახის წევრების შესახებ, სახელებისა და ასაკის მითითებით.

ამდენად, დოკუმენტი მრავალფეროვან და მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავს. მისი გამოქვეყნება სხვადასხვა დარგის მკვლევრებს საყურადღებო ფაქტობრივი მონაცემების გაცნობის საშუალებას აძლევს. თითქმის ორი საუკუნის წინ შეკრებილი მასალა მნიშვნელოვანია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლისა და სახელოვნებათმცოდნეო კვლევის, ასევე კონკრეტული ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური რეალიების შეცნობა-შეფასების თვალსაზრისით. მისი გაცნობისას წარმოჩნდება ზოგადად ქვეყნისა და მისი ერთ-ერთი კუთხის იმეამდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე საქართველოში რუსეთის იმპერიის უზენაესი საერო და სასულიერო წარმომადგენლობის ინტერესები. საბუთის შედგენის წესი, ისევე როგორც ენობრივი და ტერმინოლოგიური მახასიათებლები, აცოცხლებს ეპოქის სურათს – XIX საუკუნის პირველი ნახევრის რეალობას. დოკუმენტი უღრესად ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის სასულიერო პირთა განათლების, ყოფის და სოციალური მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღწერილი სამუშაოების შემსრულებელთა მიერ დიდძალი ფაქტობრივი მონაცემის შეკრების, სათანადოდ სისტემატიზირების უნარი და მოტივაცია.

პუბლიკაციაში საილუსტრაციო მასალად წარმოდგენილია ნაწილი დიმიტრი ერმაკოვის კოლექციაში დაცული ფოტოებისა, რომლებზეც ასახულია ლეჩხუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ეს ფოტოები დაცულია ციფრულ ბიბლიოთეკაში „ივერიელი“, აგრეთვე საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალურ არქივსა და ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. მათთან ერთად ქვეყნდება ნაწილი ივანე გილგენდორფის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში გადაღებული ფოტოებისა, რომლებიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არქივში ინახება. პუბლიკაციას ერთვის თავად დოკუმენტის რამდენიმე გვერდის ილუსტრაცია.



საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №488
(საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია), საქმე №812, 58r

მადლიერებით გვინდა ვახსენოთ, რომ წინამდებარე პუბლიკაციის მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნებათცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი ნატალია ტურაბელიძე და ბაკალავრები ანა კერძევაძე, ირინე გირგვლიანი და ცოტნე ლაცაბიძე, აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის თანამშრომელი ზეინაბ გურჯიძე.

მადლობა საქართველოს ეროვნულ არქივს, ცაგერის ისტორიულ მუზეუმს, ციფრულ ბიბლიოთეკას „ივერიელი“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მათ თანამშრომლებს წიგნში ჩართული ფოტომასალის მოწოდებისათვის.

INTRODUCTION

Numerous materials interesting in many respects were revealed while studying archival documents in the frames of the project ‘Lechkhumi: Medieval Cultural Heritage’, funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The most significant and abundant in data is a document preserved in the Central Historical Archive of the National Archives of Georgia, specifically, in the Depository of the Georgia-Imereti Synodal Office – the then administration of Georgian Church. The document contains the survey of the churches and monasteries of Samegrelo Eparchy subordinate to Russian Church and accounts about the clergy ministering there (Depository 488, Register 1, File 812). This extensive document has the Russian title – *Описание Церквам и Духовенству Мингрельской Епархии 1826 года* – *The 1826 Survey of the Churches and the Clergy of Samegrelo Eparchy*, while the text is written in Georgian *mkheruli*. It is noteworthy that there is another date – the year 1822 – provided on the first page of the document, which must indicate the time when the survey works began.

This type of documents were regularly compiled from the second decade of the nineteenth century by the decision of the Georgia-Imereti Synodal Office, the newly established administration of Georgian Church, and they covered the churches and monasteries operating in different eparchies in those times. The survey of the churches and monasteries and the clergy of Samegrelo Eparchy is distinguished by its volume – it comprises 87 pages. Out of these the survey of the churches of Lechkhumi occupy 30 pages (pp. 58-87). An explanatory title ‘*Survey of the Churches, Icons, Crosses, and Other Items, and the Clergymen of Lechkhumi, the Realm of Our Prince, His Grace, Lieutenant General Leon, Son of Grigol Dadiani*’ is provided at the beginning of this section.

The present publication discusses this particular section of the document, which contains extremely important data about the monuments of cultural heritage and the clergymen of Lechkhumi.

The document is written on big size sheets of yellowish color papers (size 34.5 x 22 cm). It is noteworthy that the majority of the documents of the time preserved in the National Archives of Georgia are compiled on the sheets of similar format and texture. Most of the document is represented in the form of a table: the text is written in black ink, and small, calligraphic *mkhedruli*. Data about each church, its antiquities and the clergymen serving there are detached from each other with frames and horizontal lines at certain intervals. In the text parts of Samegrelo and Lechkhumi are written with different hands.

The document contains the data of 71 churches of Lechkhumi, but at the text’s end, only

	მდებარეობის აღწერა	მშენებლის სახელი	წარმოების თარიღი
ა) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
ბ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
გ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
დ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
ე) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
ვ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
ზ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
თ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
ი) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
კ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864
ლ) მონასტრის მშენებელი	სანჯივრის მთაზე	ა. ილიაძე	1864

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №488
(საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია), საქმე №812, 64რ


66 churches are listed throughout the three deaneries of the Tsageri diocese only. The rule of representing the data about the churches and the clergy deserves particular attention. The factual material is provided in the following order: 1. Data about the church building; 2. List of the antiquities deposited in the church; 3. Structures and graves that are part of the architectural complex; 4. Data about the clergy serving in the church at the time.

The data about churches, monasteries, their antiquities, as well as the clergymen appointed there are registered and described in the document in the same order: location of the church and its reference to the landscape is indicated; the name of the builder is provided; with respect to old churches, it is pointed out that the name of the builder is unknown be-

cause of the oldness of the church. Further on, there is a short description of the structure and the information about presence of murals in it.

The list of the antiquities preserved in the churches contains icons (it is recorded what size they are, whether they are painted or chased, whether they are set with gems and, if so, the number of the gems), ecclesiastic manuscripts and printed books, crosses, candle holders, liturgical vessels, etc. The list continues with the record of the priest's and archpriest's garments; items like a Sakkos, Omophorion, Phelonion, Sticharion, Epitrachelion, Epigonation etc. are named; the kind of the fabric and the artistic means of its decoration (precious stones, gold and silk twine, etc.) are indicated.

Following the churches and the items preserved there, there is a description of other



საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №488
(საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია), საქმე №812, 69v

structures of the architectural complexes are described as well e.g. outer walls, bell-towers, ossuaries, cells, etc.; Specially mentioned are the graves arranged in the church and its yard, as well as the names of the persons buried there.

One of the remarkable parts of the document is the data about the clergymen serving in each church of Lechkhumi. Their names, religious ranks, age and education are listed. It is indicated by whom a religious person was appointed. Furthermore, information about the members of the clergymen is collected providing their names and age.

Thus, the document contains diverse and significant data. Its publishing allows researchers of various fields to get access to remarkable factual data. The material collected about two centuries ago is important in terms of examining monuments of cultural heritage and doing art historical survey, as well as identification and evaluation of the realities of a specific epoch. While getting acquainted with the material, one can identify the political and social situation of one part of the country in those times, as well as the interests of supreme secular and religious representatives of Russian Empire in Georgia. The rule of compiling the document and its linguistic and terminological features demonstrate the picture of the epoch – the reality of the first half of the nineteenth century. The document provides extremely valuable information about the education, lifestyle and social condition of the clergymen. Especially interesting is the capacity of collecting extensive factual data, its proper systematization and motivation of the executors of descriptive work.

Part of the photos kept in the collection of Dmitri Yermakov is represented as illustrative materials in the publication. They depict monuments of cultural heritage of Lechkhumi. These photos are preserved in the digital library ‘Iverieli’, as well as in the Central Archive of Audio-Visual and Film Documents of the National Archives of Georgia, and in Varlam Makharoblidze Tsageri Historical Museum. Along with these photos, the publication includes those taken by Igor Gilgendorf in the 1930s, which are preserved in the archives of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia. Illustrations of several pages of the document itself are appended to the publication.

We wish to express our gratitude to the students of the Institute of Art History and Theory, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD candidate Natalia Turabelidze and bachelors Ana Kerdzevadze, Irine Girgvliani and Tsotne Latsabidze for their assistance during the preparation of the book, also Zeinab Gurjidze, an employee of the Ecclesiastic Art Studies Centre, the Patriarchate of Georgia.

We are grateful to the National Archives of Georgia, Tsageri Historical Museum, Digital Library “Iverieli”, the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia and their staff members for providing illustrations included in the book.


**Описание Церквей и Духовенству
Мингрельской Епархии**

1826 года

ა	ფორმა
	აღწერისა მისის უგანათლებულებსობისა მთავრისა ჩვენისა ღერანალ ლეინტელანტისა ლეონ გრიგოლის ძის დადიანის სამფლობელოს ლეჩხუმის ეკლესიებისა და ეკლესიასა შინა მდებარისა ხატ ჯვარისა და სხვისაცა ნივთისა და სამღუდელოებისა
<p>ა</p> <p>ბ</p> <p>გ</p> <p>დ</p> <p>ე</p> <p>ვ</p> <p>ზ</p> <p>თ</p> <p>ი</p> <p>ია</p> <p>იბ</p> <p>იგ</p> <p>იდ</p> <p>იე</p>	<p>საეპარხიო მონასტერი სიონისა სდგას ცაგერს ერთსა მდაბალსა ადგილსა ზედა. აღშენებული არს მონასტერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმიდის ღვთის მშობლის მიცვალებისასა. აღმაშენებელი მონასტრისა ამის არა უწყით სიძველისა გამო და ამისთვის დავიდუმეთ. ყოფილა მონასტერი ესე ყოვლად შინაგან დახატული, რომელიც დღესაც სჩანს მხატვრობა ძველი. მონასტერსა ამას ჩამოუდის აღმოსავლეთით კერძო დიდი ხევისა წყარო მახლობელად ექვსის წამისა სავალად, ხოლო დასავლეთით კერძო მთა ფრიად მაღალი და ესეცა მახლობელად. და გარემოს მონასტრისა ამის ჭალა და წალკოტი. სიგრძე მონასტრისა ამის არს ოცდა შვიდი ადლი, ხოლო განი ათცამეტი ადლი. კარი აქვს ორი დასავლეთით და სამხრეთით</p> <p>ტრაპეზი არს თეთრი თლილის ქვისა და არს დამყარებული ხუთსა სვეტსა ზედა ქვისასა. არს სიგრძე ტრაპეზისა ამის ერთი ადლი და ნახევარი, ხოლო განი ერთი ადლი და ხუთი ჩეთვერთი. აქვს სუდარი ჩასაცმელი ტილოსა და მეორე ჩასაცმელი სამალაჯა და მას ზედა საფარი უსირმო თეთრი სტოფი და მეორე ყვითლის დიბისა, მწვანის დარაის ბავთის აშითა</p> <p>სახარება სტამბისა, ვეცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი</p> <p>ცხოველს მყოფელი ჯვარი ხისა, მოჭრილი და მოჭედილი ვეცხლითა</p> <p>ვეცხლის სასანთლეები ორი და ერთი თითობისა და ერთი სანაწილე ვეცხლისა</p> <p>სამკვეთლო ქვითკირისა და აქვს გარდაფარებული სამკვეთლოსა მას ჩითი და მას ზედა დარყის ბავთი წითელი</p> <p>ბარძიმი ვეცხლისა შინაგან მოოქროილი; ფეშხვემი, კამარა, კოვზი, ტაკუკი და განსაზავებული ვეცხლისა და სასაკმეველ ვეცხლისა. დაფარნები კარგის ფარჩისა</p> <p>საცეცხლური ორი, ვეცხლისა, ჯაჭვებითა და ეყვნებითა</p> <p>სერაბინ ქერაბინი ორი ვერცხლისა, თავის ეყვნებითა</p> <p>კრეტ საბმელი ორ ფერის ხარისა</p> <p>ასვენია მონასტერსა ამას შინა მარჯვენით კერძო ხატი მაცხოვრისა; წინა პირი მოჭედილი ვეცხლითა და ოქროთი დაფერილი. სიგრძე არს ხატისა ამის ერთი ადლი და სამი ჩეთვერთი, ხოლო განი ათერთ მეტი ჩეთვერთი და ერთი ნიშანი</p> <p>მარცხნით ასვენია ხატი ღვთის მშობლისა, ცალ პირზედ მოჭედილი ვეცხლითა და ოქროთი დაფერილი, რომელსაც უსხედს თვალი ოთხმოც და ორი სხვისა და სხვისა კარგის რჩეულის ქვისა. სიგრძე ხატისა ამის არს ერთი ადლი და ნახევარი, ხოლო განი ერთი ადლი და ერთი ნიშანი</p> <p>არს ამას შინა ხატი მაცხოვრისა, ცალ პირზედ მოჭედილი ვეცხლითა და დაფერილი ოქროთა. უსხედს ხატსა ამას თვალი სხვადასხვა რჩეული ქვისა შვიდი</p> <p>არს ხატი ღვთის მშობლისა, ცალ პირზედ მოჭედილი ვეცხლითა; სიგრძე ხატისა ამის არს ცხრა ჩეთვერთი, ხოლო განი ექვსი ჩეთვერთი</p> <p>თორმეტი საუფლო, ფიცარზედ დახატული</p>



ცაგერის ეკლესია, ღმრთისმშობლის ქედური ხატი. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1910 წ.



ცაგერის ეკლესია, იზხნის სანიმუშდურო ჯვარი. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1910 წ.



ცაგერის ეკლესია, მაცხოვრის ჭედური ხატი.
დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1910 წ.

ივ	კანკელი თავიდან ვიდრე ბოლოდმდე ფიცარსა ზედა ნახატი თავის ჯვართა და სამეუფოს კარებითა და ზედ კიდებული კანდელი სილაქლემის კვერცხისა, მოჭედილი ვეცხლითა, რომელსა ზედა აღენტების სანთელი ოთხი და აქვს ძეწკვი ვეცხლისა ერთი ადლი და ოთხი ჩეთვერთი ერთ ნიშან ნაკლებ
იზ	არს ჯვარი ცხოველს მყოფელი თავის ტარიანათ ვეცხლისა და ოქროთი დაფერილი თვინიერ ტარისა და ტარი აქვს სევადითა და უსხედს თვალი დიდი და მცირე სხვისა და სხვისა კარგის რჩეულის ქვისა ათ ექვსმეტი და ყოველსა თვალსა ავლია იმრგვლივ ორფათ წვლილი მარგალიტი. აქვს სიგრძე სამი ადლი ორი ჩეთვერთი ნაკლებ, ხოლო განი ნახევარი ადლი
იწ	სასანთლე ორი ხისა, რომელსა აქვს ზედ თავი ვეცხლით დაფერილი, მხოლოდ სანთლის აღსანთებელი
ით	ხომლი ვეცხლითა და ოქროთი დაფერილი, რომელსა ზედა აღენტების შვიდი სანთელი
კ	საიაზმე ჩინურისა, თავის სახურავით და თავის სკამით, რომელსაც აქვს ჩაცმული რუსული ტილო და ზედ საფარი ჩითი
კა	პურის საკურთხი კალისა თავის საზეთეთა და თავის სკამითა, წითლის ატლასის საფარითა
კბ	ანალოლია, რომელსაც აქვს ჩაცმული დიმიკიტნი და გარდასაფარებელი მოძველო, უსირმო ისფერი ფარჩა
კვ	სანიგნე, რომელსაც აქვს ჩაცმული რუსული ტილო და ზედ გარდაფარებული მზგავსივე
სამღვდელთ მთავრო შესამოსელი	
ა	ბისონი თეთრის დიბისა, ათ ოთხმეტის ვეცხლის ღილებითა და ყვითლის აშიითა
ბ	ომფორი თეთრის დიბისა, თავისის თეთრის ჯვარებითა და სამის ოქროს ღილებითა
გ	სტიხარი ალის ფერის სტოფის, უაშიო
დ	ოლარი ორი; ერთი სტოფისა, სირმიანი ყვითლის აშიითა და მეორე სირმით ნაკერი
ე	სარტყელი ნაკერი და საბუხრები კიდევ ნაკერი
ვ	ენქერი, სირმით ნაკერი
ზ	სამღვდელთ მთავრო ხატი მინანქრის, ვეცხლის ჯაჭვითა და მოოქროვილი
წ	მანტია ცისფერის ხარისა, თავისის სერაბინ ქერაბინებითა
თ	ჯვარ სამთელი ორი, ვეცხლისა; ერთი სამის სანთლის დასანთები და მეორე ორის სათლისა
ი	სამღვდელ მთავრო კვერთხი სპილოს ძვლის ორის თავისის თავებ აღკერილის მანდილებითა
ია	ქოში, ერთი წყვილი, სირმით ნაკერი
იბ	ოთხი არწივი, წითელს მაუდზედ ნაკერი და ერთი ნოხი გასაფენი
ივ	სიდონი ნარმისა
იდ	წურწუმა თითრბრისა, მინით გაკეთებული და ტაშტი თითრბრისა, მინით გაკეთებული თავისის ხავითა და ხონჩა კიდევ თითრბრისა, სახედ აღმოყვანილი

სამლუდლო შესამოსელი

- ა სტიხარი თეთრი, უსირმო სტოფისა
ოლარი თეთრის დიბისა
სარტყელი, ნაკერი ეშმის ქვის თავებითა
სამკლავე ყვითლის დიბისა სირმიანი
ენქერი თეთრის დიბისა, ყვითლის აშიითა, ერთის ღილითა და თავის ფოჩებითა
ფილონი წითლის ხავედისა ჩაკსულის სირმიითა
- ბ კიდევ სტიხარი ცისფრის ატლასისა
ოლარი თეთრის სტოფისა, სირმიანი, თავის ფოჩებითა
სამკლავე ყვითლის დიბისა, თავის ვეცხლის გრგოლებითა
სარტყელი ყვითლის და შავის დიბისა ვეცხლის თავებითა
ენქერი თეთრის დიბისა, თავის ფოჩებითა
ფილონი ყვითლის კარგის დიბისა
- გ სტიხარი მწვანე ატლასისა
ოლარი თეთრის სტოფისა
სარტყელი თეთრის დიბისა
სამკლავები წითლის სტოფისა, თავის გრგოლებით
ფილონი შავის ხავედისა
- დ ოლარი მოშაოს სტოფისა და მეორე ოლარი თეთრის სტოფის, სირმიანი
სარტყელი უსირმო, ვეცხლის თავებითა
სამკლავე შავის სტოფისა
ფილონი წითლის მატერიისა, სირმიანი
- ე სადიაკვნო სტიხარი მწვანე სტოფისა, გინგილა სირმიანის ფარჩისა და სამკლავე წითელს ატლასზედ
ნაკერი

კარის ბჭე აქვს მონასტერსა ამას, რომელსაც აქვს სიგრძე რვა ადლი, ხოლო განი ექვსი ადლი და არს ესე ყოველივე შენებული, რომელიმე თლილის ქვითა და რომელიმე სპოტიოთა. აქვს სამრეკლო მონასტერსა ამას სამხრეთით კერძო ოთხის უღპოლველის ხის სვეტითა და კიდავენ მას ზედა ერთი დიდის ტანის ზარა და სამი უმცროსოანი. მონასტერსა ამას შორავს სამრეკლო ესე თუთხმეტს ად-
ლზედ. აქვს გალავანი მონასტერსა ამას იმრგვლივ ქვითკირისა, რომელსაც აქვს სიგრძე სამოცდა
სამი ადლი, ხოლო განი სამოცდა ორი და ნახევარი

არს მარჯვენის მხრითა მონასტრისა ამის ეკვდერი ელისაბედ დედოფლის სამარხი და არს სიგრძე
ეკვდრისა ამის ათი ადლი, ხოლო განი ექვსი ადლი

- ა არს ტრაპეზი ქვითკირისა და მას ზედა დამყარებული ქვა და აქვს სუდარი ტილოსა და მას ზედა
საფარი უსირმო ფარჩა შავი მატერიისა
- ბ სახარება ხელ ნაწერი, მოჭედილი ვეცხლითა და ოქროთი დაფერილი
- გ ცხოველს მყოფელი ჯვარი ხისა, მოჭრილი და მოჭედილი, მინანქრით განწყობილი
- დ სასანთლე ორი, ტყავისა, ლომის სახედ მოყვანილი
- ე სამკვეთლო ქვითკირისა და მას ზედა საფარი ჩითისა და მას ზედა წითლის დარაის ბავთისა

ვ	ბარძიმი, ფეშხვემი, კამარა, კოვზი, ტაკუკი და საეელოგიე ვეცხლისა ფარჩის დაფარნებითა; ლახ-ვარი ფოლადისა, თეთრის სპილოს ძვლის ტარითა
ზ	საცეცხლური ვეცხლისა თავისი ჯაჭვებითა და კრეტ საბმელი უსირმო ფარჩისა
წ	ასვენია ამას შინა ხატი მაცხოვრისა ფიცარსა ზედა დახატული და პირზედ მოჭედილი ვეცხლითა და ოქროთი დეფარული
თ	ხატი ლუთის მშობლისა მინაზედ ნახატი
ი	ხატი ჯვარცმისა მინით გაკეთებული
ია	ხატი ლუთის მშობლისა ფიცარსა ზედა დახატული და იმრგვლივ მოჭედილი ვეცხლითა და ოქროთი დაფერილი
იბ	ხატი ნათლის მცემელისა ფიცარსა ზედა დახატული და იმრგვლივ მოჭედილი ვეცხლითა და ოქროთი დაფერილი
იგ	საიაზემე ვეცხლისა

არს მაჯვენისავე მხრით ქვემოთი ეკვდერი და არს ამას შინა	
ა	ტრაპეზი ქვისა და აქვს ჩასაცემელი ტილო სუდრათა და მას ზედა რუსული ტილო
ბ	სახარება სტამბისა და ჯვარი ხისა
ბ	სამკვეთლო ქვიტიკირისა და ზედა საფარი ჩითისა; ბარძიმი ფეშხვემი კამარა კოვზი და საეელოგიე კალისა და ტაკუკი ვეცხლისა; საცეცხლური სპილენძისა და კრეტ საბმელი ჩითისა

მარცხენით მონასტრისა ამის სდგას ეკვდერი ქვითკირისა და არარაას აქვს სამკაული თვინიერ ერთის ხელის მოძველო შესამოსლისა	

ა	ამა მონასტერსა შორავს სახლი მიტროპოლიტისა ათ ერთმეტს ადღზედ და არს სახლი ესე პალატსა ზედა დაშენებული და არის ორი დიდი სახლი და სამი ოთახი რომელსაც აქვს სიგრძე ოცდა ათ სამმეტი ადლი და ოთხი ჩეთვერთი და აქვს წინა კერძო აივანი და მოაჯირი
ბ	ამა მიტროპოლიტისა სახლს ცოტა მოშორვებ უდგს ერთი პატარა სახლი
ბ	სასტუმრო სახლი ორი ერთათ თავისი ბუხრებით და მეორე მისი შემდგომი პატარა სახლი ბუხრითა
დ	სენაკები ერთი ბუხრიანი და სამი უბუხრო

	არს მონასტერსა ამას ზედა მდგომარე მისი მაღალ ღირსება უფალი ილუმენი ანტონი არს შობიდამ წლისა	ლ	ძე გიორგის დადიანვისა	აღუზრდია მის მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობას ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს, უსწავლება საეკლესიო წიგნი და წერა და უსწავლია საჭილოქოსო წერილები	უკურთხებია დიაკვნად მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მიტროპოლიტს დავითს, და მღუდლად მის ყოვლად უსამღუდელოესობას ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს და ილუმენადცა
	ახლავს კრებული				
ა	მღუდელ მონაზონი დავით კეთილშობილი ახვლედიანი არს წლისა შობიდამ	მზ	აღუზრდია მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს და უსწავლება საეკლესიო წიგნი და წერა და რამდენიმე გალობა	და უკურთხებია მასვე ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად და მღუდლად	
ბ	მღვდელ მონაზონი ევთიმი, კეთილშობილი ნემსაძე არს წლისა შობიდამ	ნე	აღუზრდია მის ყოვლად უსამღუდელოესობას ცაგერელ მიტროპოლიტს სოფრომს, უსწავლება საეკლესიო წიგნი, წერა და გალობა	უკურთხებია მასვე ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს სოფრომს დიაკვნად და მღუდლად უკურთხებია ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს	
გ	იერო დიაკონი ზაქარია. არს წლისა შობიდამ თავადთაგანი დგებუაძე	კმ	აღუზრდია გარდაცვალებულს ილუმენს ნიკოლაოს და უსწავლება საეკლესიო წიგნი და წერა და მცირეოდენი გალობა	ხელი დაუსხამს ბერათ და უკურთხებია დიაკვნათ ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს	
დ	იერო დიაკონი ნიკოლოზ არს წლისა კეთილშობილი გაბუნია	კპ	აღუზრდია მის მაღალ ღირსებას ილუმენს ანტონის და უსწავლება საეკლესიო წიგნი და წერა კარგად	ხელი დაუსხმას ბერად მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს და დიაკვნად უკურთხებია ყოვლად სამღვდელოს ჯუმათელ მიტროპოლიტს ნიკოლაოზს	
ე	კერძო დიაკონი ლუკა გოლეითანი მღუდელის მათეს ძე არს წლისა შობიდამ	კგ	აღუზრდია ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს და უსწავლია საეკლესიო წიგნი, წერა და წიგნის შეკრვა	ხელი დაუსხამს ყოვლად სამღვდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს კერძო დიაკვნად და სურს მას ბერობა და არაოდეს განემორება მონასტერსა	

ა	<p>არს მონასტერსა ამას შინა</p> <p>დეკანოზი პავლე ნემსაძე, აზნაური არს შობიდამ წლისა</p>	მე	<p>ალუზრდია მის მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობას ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს და უსწავლებია სამღვთო წერილები და წერა და ყოველივე ეკლესიური ცერემონია</p>	<p>უკუთხებია მასვე ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად, მღუდლად და დეკანოზად</p>	<p>ყავს ამას ძენი ექვსნი და ერთი არს ხელ დასხმული დიაჩოქათ, რომელსა ეწოდების სახელად ბასილი და სხვანი რომელნიმე ყავს სწავლაშიდ და რომელნიმე ჩჩვილნი</p>
ბ	<p>მღვდელი იოანე, კეთილ შობილი, მდივნის შვილი არს წლისა შობიდამ</p>	აბ	<p>ალუზრდია მის მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობას ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ანტონის და უსწავლებია სამღურთო წერილები, წერა და რამდენიმე გალობა</p>	<p>უკუთხებია ამავე მიტროპოლიტს ანტონის დიაკვნად და მღვდლად</p>	
გ	<p>მღუდელი ნიკოლოზ, მდივნის შვილი, ძის ძე ხსენებულისა მის იოანეს მღვდლისა. არს წლისა</p>	ლე	<p>ალუზრდია მის ყოვლად სამღუდელოებას ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს და უსწავლებია წიგნი და წერა</p>	<p>უკუთხებია მასვე მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად და მღუდლად</p>	<p>ყავს ამას ორი ძმანი, დიაკვნად ერთი იოანე და მეორე თევდორე ალუზრდია ესე ბაბუას თვისსა მღვდელს იოანეს და უსწავლებია საეკლესიო წიგნი და წერა</p>
დ	<p>მღუდელი ნიკოლოზ, კეთილ-შობილი, ნემსაძე არს შობიდამ წლისა</p>	მ	<p>ალუზრდია ილუმენს სვიმონს და უსწავლებია საეკლესიო წიგნი და წერა</p>	<p>უკუთხებია ყოვლად სამღვდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად და მღუდლად</p>	<p>ყავს ამას ძე ხუთი</p>
ე	<p>მღუდელი იაკობ, მღვდლის მიქელის ძე არს შობიდამ წლისა</p>	ნ	<p>ალუზრდია ილუმენს სვიმონს და უსწავლებია საეკლესიო წიგნი და წერა და მცირედი გალობა</p>	<p>უკუთხებია ყოვლად სამღვდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს სოფრომს და მღვდლად ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს</p>	<p>ყავს ამას ორნი ძენი დიაკვნათ, ერთსა ეწოდების მაქსიმე და მეორესა თომას</p>
ვ	<p>მღვდელი გიორგი მოხუცებული</p>				

ზ	იერდიაკონი გიორგი ბერიძე, კეთილშობილი არს წლისა	კვ	აღუზრდია ბიძასა თვისა მღვდელ მონაზონს ბესარიონს და უსწავლებია საეკლესიო წიგნი და წერა	უკურთხებია დიაკვნად ყოვლად სამღვდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს, ესე არა არს საეკლესიო მამულისა შვილი	
ც	იერო დიაკონი ფილიპე გუგავა არს წლისა	კე	აღუზრდია მღვდელს მიქელსა და უსწავლებია წიგნი	უკურთხებია დიაკვნად ყოვლად სამღვდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს	ყავს ძე ერთი
თ	არს მონასტერსა ამას შინა მგალობელი იაკობ აზნაური არს შობიდამ წლისა	ნე	აღზრდილა იგი მამისაგან თვისი ყოფილან ესე მგალობელნი მამა პაპით მგალობელნი		
ი	კვალადვე მგალობელი იოზ, ძე იაკობ მგალობელისა არს შობიდამ წლისა	ლ	აღუზრდია მამასა თვისსა და უსწავლებია სრულიად გალობანი, წიგნი და წერანი		ყავს ძმები სამი და ძენი სამნი და ზრდის რომელსამე მგალობლად

<p>ბ</p> <p>ა</p> <p>ბ</p> <p>გ</p> <p>დ</p> <p>ე</p> <p>ვ</p> <p>ზ</p> <p>წ</p> <p>თ</p> <p>ი</p> <p>ია</p> <p>იბ</p>	<p>მათის უგანათლებულესობის მთავრის დადიანის ლეონის შემწეობითა მათმან უგანათლებულესობამ სრულიად სამენგრელოსა მთავრინამ მართამ – მეულემან მისვე მთავრის დადიანის ლეონისამან. თვით სამფლობელოსა თვისსა იპოვა კეთილი, მყუდრო და უცილობელი საუდაბნოო ადგილი და ვინადგან იპოვა კეთილი მდებარეობა ადგილსა მას შინა და განსაძლებელი ძმათა, სურვიელ იქმნა და აღაშენა მონასტერი ადგილსა მას შინა სახელსა ზედა ნათლის მცემლის თავის კვეთისასა</p> <p>ინყო შენებად ჩყით წელსა, ივლისს _____</p> <p>სრულყო ჩყვე წელსა, აგვისტოს _____</p> <p>სდგას მონასტერი ესე ფრიად მაღალსა და კლდოვანსა მთასა ზედა და გზა აქვს ფიცხელი საველეი მეტათ პირ აღმართი და შინაგან გარემოება მონასტრისა კეთილი და სათნო გასაძლებელი. წყაროები მახლობლად, საბახჩე სავენახე სამუშავო და საშეშე ესე ყოველივე გარემოებასა მას მონასტრისასა დამოკიდებულ არს; და ენოდების სახელად ადგილსა მას ნამარნევი. წინა კერძო აღმოსავლეთით აქვს უმაღლესი მთა, რომელიც, ფარავს მონასტერსა მას და შუათაგან მთისა მის და მონასტრისა ფრიადი სიღრმე და მას შინა ჩადის მცირედი ხევის წყალი, რომელსაც ენოდების სახელად ჯონეული და არს მას შინა მცირედ თევზი. შორავს ჯონეული იგი მონასტერსა მას ათ ხუთ მეტის წამით და დასავლეთით მზგავსადვე უმღლესი მთა მახლობლად მონასტრისა და სულ იმრგვლივ დაფარული არს მთებითა მონასტერი ესე. აღშენებული არს თლილის სპოტიოთი და იატაკი წმიდის თლილის ქვითა არს დაფენილი. კარები აქვს სამი და ფანჯრები აქვს ექვსი თავისის მინებითა და შელესილი არს შინაგან მტკიცედ. სიგრძე აქვს მონასტერსა ამას ოცი ადლი, ხოლო განი ათ სამ მეტი ადლი, ხუთი ჩეთვერთი და ერთი ნიშანი</p> <p>ტრაპეზი არს თეთრის თლილის ქვისა ხუთსა სვეტსა მზგავსისა მისისასა ზედა დამყარებული, სუდარი აქვს ტილოსა და ზედა საფარი ჩაქსული ყუთნისა და მას ზედა საფარი თეთრის ფარჩისა სირმიანი</p> <p>წმიდა სახარება რუსულს ენაზედ დაბეჭდილი ცალ კერძო მაცხოვარი და მახარებელი ოთხი ვეცხლისა და ოქროთი დაფერილი, მეორე პირზედ ამოყვანილი ვეცხლი ყვავილებად და ოქროთი დაფერილი და საკეტიცა ვეცხლისა ოქროთი დაფერილი და თვით ქალაღიცა ვარაყიანი აქვს. სიგრძე სახარებისა ამის შვიდი ჩეთვერთი და ერთი ნიშანი, ხოლო განი ხუთი ჩეთვერთი</p> <p>ცხოველს მყოფელი ჯვარი ხისა მოჭრილი და ვეცხლით მოჭედილი მოოქროვილი.</p> <p>შანდალი ორი, ერთი თითრბისა, და მეორე რკინისა</p> <p>აქვს სამკაულსა ამას ზედა გარდასაფარებელი სირმიანი აბრეშუმისა; აქვს სიგრძე ტრაპეზსა ამას ერთი ადლი და ათერთმეტი ჩეთვერთი ერთ ნიშან ნაკლებ, ხოლო განი ერთი ადლი და ნახევარი</p> <p>სამკვეთლო არს თლილის ქვისა და აფარია ჩითი</p> <p>ბარძიმი, ფეშხვემი, კამარა, კოვზი, ტაკუკი და საველოგიე ვეცხლისა და ლახვარი შავის რქის ტარითა; საზედაშე ორი, ჩარექა ვეცხლისა, საცეცხლური ვეცხლისა თავის ჯაჭვებითა. არს სამკვეთლოსა ამას ზედა ხატი ღუთის მშობლისა ტილოსა ზედა ნახატი</p> <p>კრეტ საბმელი თეთრის დარეის ბავთისა</p> <p>არს ფიცარი აღმართული კანკლისა და ეგულვების სრულყოფა მხატვრობითა მის უგანათლებულესობას მთავრინას მართას</p> <p>არს ხატი ღუთის მშობლისა, ფიცარსა ზედა ნახატი ვნებისა, ჯვარიდამ გარდამოხსნილი ძე მისი მუხლსა ზედა უსვენია; მინა აქვს წინა პირზედ</p> <p>ხატი ღუთის მშობლისა, ძითურთ ფიცარსა ზედა ნახატი, კარგი და მინითა დაფარებული</p> <p>ხატი ნათლის მცემლისა, ფიცარსა ზედა ნახატი, კარგი</p>	<p>იდ</p> <p>კ</p>
---	--	--------------------

იზ	ხატი ნათლის მცემლისა, ფიცარსა ზედა ნახატი; არშია ვეცხლისა ოქროთი დაფერილი. სიგრძე ხატისა ამის ათი ჩეთვერთი, ხოლო განი რვა ჩეთვერთი
იდ	ხატი სადაფისა, ბერძნულის ხელოვნებით შეწყობილი
იე	ხატი ლუთის მშობლისა ფიცარსა ზედა ნახატი, ოქროს ვარაყითა, კარებიანი
ივ	ხატი ვნებისა ფიცარსა ზედა ნახატი
იზ	ხატი შობისა ოქროს ვარაყითა ფიცარსა ზედა დახატული
იწ	ხატი მიცვალებისა
ით	საიაზმე ვეცხლისა სრულის ტანისა
სამღუდელო შესამოსელი	
ა	სტიხარი თეთრი ნაკერი ოლარი იის ფერის სტოფისა და სარტყელი ფარჩისა ფილონი შავის დარეის ბავთისა წითლის ქობითა და ლურჯის სარჩულითა საბუხრები ყვითლის ფარჩისა
ბ	სტიხარი ჩითისა
გ	ოლარი ლურჯის ატლასისა სამ გვარად მოვლებულის ყვითლის სირმიანის აშიითა და სირმის ფოჩვებითა
დ	ოლარი ლურჯის დარეის ბავთისა ყუთნ შემოვლეული
ე	ოლარი მდაბალი დარეის ბავთისა
ვ	ოლარი დარეის ბავთისა
ზ	ოლარი ჩითისა
წ	ფილონი წითლის მატერიისა ცის ფრის ატლასის არშიითა და მწვანის სარჩულითა
თ	გარდამოხსნა სრულის ტანისა ტილოსა ზედა ნახატი
ი	ნოხი ტრაპეზის წინ საფენი წითლის სახისა
ია	ზანდუკი რუსული შესამოსლის ჩასაწყობი სამრეკლო აქვს წინა კარით კერძო მახლობელად ათ სამმეტ ადღზედ და არს ხუთსა ულპოლველის ხისა სვეტსა ზედა და კიდავენ მას ზედა ერთი დიდი ტანის ზარა და ორი უმცროსნი. მონასტრისა ამის მუშაკობასა ზედა საფასითაცა და შრომითა თვისითა უღვწიათ დიდად მის მაღალ ღირსებას მოძღვარსა მთავრისა ჩვენისასა და მონასტრისა ამის მამასა არხიმანდრიტს გიორგის და მასთანავე მის პატიოსნებას, მთავრინას მართას კარის დეკანოზს დავით ჩიხლაძეს შინაგან ამავე ადგილსა არს საყდარი ულპოლველის ხისა მცირის ტანისა, რომელიცა შორავს მონასტერსა ას ოციითა ადლითა და არს აღშენებული სახელსა ზედა ნათლის მცემლის შობისასა არს ტრაპეზი ქვიტიკირისა და სუდარი აქვს ტილოსა და მას ზედა საფარი ჩითისა
ა	სახარება სტამბისა
ბ	ჯვარი ხისა
დ	სამკვეთლო ხისა და მას ზედა საფარი ჩითისა
ე	სამღრთო ბარძიმი, ფეშხვემი, კამარა, კოვზი, ტაკუკი და საეველოგიე ვეცხლისა და კრეტ საბმელი ჩითისა არს ამას შინა სამღვდელო შესამოსელი ერთი ხელი სრულებით

ა	არის სახლი ერთი ორ ოთახიანი ერთის ბუხრით და წინა კარით და მეორეს გვერდით აივანი აქვს. აღუშენებია სახლი ესე საფასითა თვისითა მის მაღალ ღირსებას მამასა მონასტრისა ამისასა არქიმანდრიტს გიორგის; და მდგომარეობს მას შინა
ბ	სახლი აღუშენებია საფასითა თვისითა მის პატიოსნებას ხსენებულს მლუდელს დავით ჩიხლაძეს და არს სახლის ესე ქვეშეთ პალატი ორ სადგომად და ერთი ბუხრიანი არს და ზედ სახლი ადგია კარგი ბუხრითა და ორის ოთახითა და სამის გვერდით აივანი აქვს კარგი და ერთი ხულა მას ზედა მოდგმული
გ	არს სენაკი სამი, ბერებისა
დ	სასტუმრო სახლი კარგი სრული
ე	ერთი მარანი და ერთი ბელელი და ორი ხულა
ვ	ერთი სამზარეულო სახლი
ზ	აქვს წისქვილი ზემოთ ხსენებულსა ჯონეულის პირსა ზედა

მდგომარეობენ კრებულნი მონასტერსა ამას შინა

ა	მოხუცებული მღვდელ მონაზონი გერასიმე არს წლისა	კ	არს გვარობით გიქოძე გურიას მცხოვრები	აღუზრდია არხიმანდრიტს ლაზარეს, უსწავლებია წიგნი, წერა და მცირედ გალობა	უკუთხებია დიაკვნად ყოვლად სამღუდელს ნიკოლოზ შემოქმედელს და მღუდელად ყოვლად უსამღუდლოეს მაქსიმე კათალიკოზს
ბ	მღუდელ-მონაზონი იესე არს შობილად წლისა	ლვ	არს გვარობით ცხვიტარია, მათეს ძე	აღუზრდია მის მაღალ ღირსებას არხიმანდრიტს ზაქარიას და უსწავლებია წიგნი, წერა და წიგნის კრვა	უკუთხებია დიაკვნათ მიტროპოლიტს დავითს და მღუდელად ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს
გ	მღუდელ-მონაზონი გერმანე არს წლისა	ლა	აღუზრდია ესე ილუმენს ნიკოლოზ ნულუკიძეს და უსწავლებია წიგნი და წერა	უკუთხებია დიაკვნად მაღალ ყოვლად უსამღუდლოეს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს და მღვდელად ყოვლად სამღუდელს ცაიშელ მიტროპოლიტს გრიგოლს	
დ	მღუდელ-მონაზონი გიორგი არს წლისა	მ	კაჭარავა, დავითის ძე	აღუზრდია მონაზონს მარინეს და უსწავლებია წიგნი	უკუთხებია დიაკვნად ყოვლად სამღუდელს ცაიშელს გრიგოლს, ხოლო მღვდლად ყოვლად სამღვდელს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს

<p>ე</p>	<p>მღუდელ-მონაზონი დავითი არს წლისა</p>	<p>ნბ</p>	<p>სვიმონის ძე</p>	<p>აღუზრდია არხიმანდრიტს ნიკოლოზს, უსწავლებია წიგნი</p>	<p>უკურთხებია დიაკვნად ყოვლად სამღუდელოს ცაიშელს გრიგოლს, ხოლო მღუდლად ყოვლად სამღუდელოს ხინონშიდელს</p>
<p>ვ</p>	<p>იერო დიაკონი, ბერი სვიმონ არს წლისა</p>	<p>ლ</p>	<p>ჯოჯუა, გიორგის ძე</p>	<p>აღუზრდია ესე მღვდელს თადეოზს და უსწავლებია წიგნი</p>	<p>უკურთხებია დიაკვნად ყოვლად სამღვდელოს ცაგერელს იოანეს</p>
<p>ზ</p>	<p>მღუდელ-მონაზონი ვასილ მარტომყოფელი არს წლისა</p>	<p>მბ</p>	<p>ასათიანი, აზნაური</p>	<p>აღუზრდია ესე ილუმენს სვიმონს ბიძასა თვისსა და უსწავლია სამღვრთო წერილები და წერა</p>	<p>უკურთხებია დიაკვნათ და მღუდლად ყოვლად სამღვდელოს ცაგერელს იოანეს და შემდგომად კურთხევისა გამოსრულ არს სოფლით და მარტომყოფობს მახლობლად მონასტრისა ამის ათ ხუთმეტის წამის სავალადმდე და არს მარტომყოფობასა შინა წელი ია</p>
<p>ყ</p>	<p>მღვდელ მონაზონი გრიგოლ, ესეცა მარტომყოფელი არს წლისა</p>	<p>მე</p>	<p>მიქელაძე თავადთაგანი</p>	<p>აღზრდილა სამღვრთოს წერილებში და ხუცურსა და ხედრულს მდივნობაში და ესეცა მცირედ მოშოვრებით ბასილისა დასდგა ნუგეშის ცემისათვის და მყუდრებენ კეთილად.</p>	
<p>შეკრებულთა ამათ ძმათა არა რა აქვსთ საზრდო და შესამოსი არცა მონასტრისა შეწირულებისა და არცა თავისა თავისისა, არამედ ყოველნი მოწყალებითა მთავრისა დადიანისა ლეონისათა და მეუღლისა მისისა მთავრინასა მართასაგან იზრდებიან საზრდოდიცა და სამოსლითაცა</p>					
<p>გ</p>	<p>არს კუალად მონასტერი საირმისა უწინარეს ნამარნევის მონასტრისა შეწეული</p>				
<p>არს მონასტერი ესე ფრიად მაღალსა და ფიცხელსა აღმართულსა კლდოვანსა ადგილსა ზედა აღშენებული. სამხრეთით კერძო აქვს დიდი მდინარე, რომელსა ეწოდების რიონი რომელიცა არს სიშორით მდინარე იგი ნახევარის საათის სავლელზედ და ამ სამხრეთით კერძოდგან მოცილებით მოზღუდვილი არს დიდის უმაღლესის აღმართულის კლდითა და შუათაგან დიდი სიღრმე შემოუვლის იმრგვლივ მონასტერსა ამას დიდათ შორავს წყალი და შეშა და გზაცა ფიცხელი აქვს</p>					

	<p>ესე მონასტერი აღუშენებია მთავარსა დადიანს ოტიასა და მეუღლესა მისსა დედოფალსა გულქანსა. ყოფილა კლდესა ზედა შენებული და დიდისა ძრვისაგან შეძრულა კლდე და დაიწყო მონასტერმა რღვევა და ვერღარა ძალ ედევათ შესლვად ძმათა. უბრძანა მთავარმან დადიანმა ლეონმა მოძღვარსა თვისსა და მამასა მონასტრისასა მალალ ღირს არხიმანდრიტს გიორგის და შეწვევითა და საფასითა მთავრისა დადიანისა ლეონისათა და მეუღლისა მისისა მთავრინასა მართასითა, ფრიადი შრომა თავს იდვა და მოსცვალა მონასტერი იგი უმაგრესა ადგილსა ზედა. არს მონასტერი ესე აღშენებული სახელსა ზედა ყოვლად წმიდის მიცვალებისასა. არს სიონისა წმიდის თლილის ქვით შენებული. სიგრძე აქვს ათ ექვსმეტე ადლი და შვიდი ჩეთვერთი ხოლო განი ათ ერთმეტე ადლი. არს იგი ძველის ნაშენებიდამ გარდმოცვლილი ოცს ადღზედ</p>
<p>ა</p> <p>ბ</p> <p>გ</p> <p>დ</p> <p>ე</p> <p>ვ</p> <p>ზ</p> <p>წ</p> <p>თ</p> <p>ი</p> <p>ია</p> <p>იბ</p> <p>იგ</p> <p>იდ</p> <p>იე</p> <p>ივ</p> <p>იზ</p> <p>იწ</p>	<p>ტრაპეზი კარგის თლილის ქვისა ერთსა სვეტსა ზედა დამყარებული. სიგრძე აქვს ერთი ადლი. შვიდი ჩეთვერთი და ერთი ნიშანი; ხოლო განი ერთი ადლი და ორი ჩეთვერთი აცვია სუდარი ტილოსა და მას ზედა საფარი რუსული ტილო და მას ზედა ნაკერი და მესამე საფარი მწვანე ატლასისა</p> <p>სახარება პატარა ტანის, მოჭედილი და ოქროთი დაფერილი</p> <p>ჯვარი ცხოველს მყოფელი, ხისა მოჭრილი და მოჭედილი და მოოქროვილი</p> <p>მეორე ჯვარი მოჭედილი მძიმედ და მოთვალული; და სანაწილე ვეცხლისა, მოოქროვილი</p> <p>ორი შანდალი თითოფისა</p> <p>წლის სურათი</p> <p>სამკვეთლო გამოჭრილი, აცვია ტილო და მას ზედა გარდაფარებული ჩითი; ასვენია ხატი მას ზედა ლუთის მშობლისა ვარაყით დახატული.</p> <p>სამღრთო ბარძიმი, ფეშხვემი, კამარა, კოვზი, ტაკუკი და საეველოგიე ვეცხლისა, თავის დაფარებითა</p> <p>საცეცხლური ვეცხლისა</p> <p>გარდამოხსნა მძიმედ ნაკერი</p> <p>კანკელი სრულებით აღმართული, ფიცარსა ზედა ნახატი, თავს ჯვართა და სამეუფოს კართა</p> <p>გარდა ამისა არს ხატი ლუთის მშობლისა, ფიცარსა ზედა ნახატი, აშია ვეცხლისა, გვირგვინითა, აქვს თვალი იაგუნდისა ერთი დიდი და ორი მომცრო და მარგალიტი მწვლილი _____ პთ თავის ძის გვირგვინი ვეცხლისა და თვალი აქვს იაგუნდისა _____ დ და ფირუზისა _____ ე</p> <p>ხატი ლუთის მშობლისა, ფიცარსა ზედა ნახატი, მონცრო ტანისა, ვარაყიანი</p> <p>ხატი ლუთის მშობლის მიცვალებისა, ფიცარსა ზედა ნახატი, დიდის ტანისა</p> <p>ხატი თორმეტის საუფლისა, ფიცარსა ზედა ნახატი, მცირის ტანისა</p> <p>ხატი ეკატერინასი, ფიცარსა ზედა ნახატი, მცირის ტანისა</p> <p>ანალოლია, შემოსილი თავის საფართა</p> <p>საიაზმე რუსულის რკინისა, თავისის სკამით</p>

სამლუდელო შესამოსელი	
<p>ა</p>	<p>სტიხარი ახალი, სირმიანი, ყვითლით და მწვანით ჩაქსული, წითლის არშითა და წითლის სარჩულითა ოლარი ფარჩისა სარტყელი ნაკერი და სამკლავე ფარჩისა ფილონი ჩაქსული დიბისა და ენქერი კარგის ფარჩისა, ყვავილ ამოყვანილი სირმიანის აშითა</p>
<p>ბ</p>	<p>სტიხარი ორი მდაბალი, ფილონი დარეის ბავთისა, თეთრი სირმიანი; ოლარი კიდევ ფარჩისა</p>
<p>გ</p>	<p>ფილონი დიბისა სამრეკლო ოთხ სვეტოვანი, ულპოლველის ხისა. კიდავნი ზარა ორი, უმცროს უმფროსი</p>
მახლობელად მონასტრისა ამის	
	<p>არს ეკლესია მეორე აღშენებული ქვითკირისა, სახელსა ზედა ნათლის მცემლისასა, რომელსაც აქვს სიგრძე ათი ადლი და ნახევარი, ხოლო განი შვიდი ადლი და ოთხი ჩეთვერთი</p>
<p>ა</p>	<p>ტრაპეზი თლილის ქვისა, ერთსა სვეტსა ზედა დამყარებული. აცვია სუდარი ტილოსა და მას ზედა საფარი კარგის ჩითისა. სიგრძე აქვს ერთი ადლი და სამი ჩეთვერთი, ხოლო განი ერთი ადლი ჩეთვერთ ნაკლებ</p>
<p>ბ</p>	<p>სამკვეთლო ქვითკირისა, ფარჩა გარდაფარებული</p>
<p>გ</p>	<p>სამღურთო ბარძიმი, ფეშხვემი, კამარა კალისა. კოვზი ვეცხლისა, საცეცხლური თითრბისა, კრეტსაბმელი შავის მატერიისა, საიაზმე სპილენძისა არს ხატი მაცხოვრისა ფიცარსა ზედა ნახატი</p>
<p>დ</p>	<p>არს ხატი ლუთის მშობლისა, აშია მოვლებული ვეცხლითა</p>
<p>ე</p>	<p>არს ხატი ლუთის მშობლისა, ტილოსა ზედა ნახატი; კუალად ხატი იოანე მახარებლისა, ტილოსა ზედა ნახატი</p>
<p>ვ</p>	<p>სამლუდელო შესამოსელი, ერთი ხელი, მდაბალი ამასთანა მოდგმულ არს ერთი მცირე ეკვდერი. ტრაპეზი ქვისა, სუდარი ტილოსა ზედ საფარი ჩითისა, ჯვარი და შანდალი თითრფისა</p>
<p>ზ</p>	<p>სამღურთო ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი, ტაკუკი და საეელოგიე ვეცხლისა. კამარა კალისა და არა ვეცხლის კრეტ საბმელი სირმიანი ყვითელი სტოფისა</p>
<p>ა</p>	<p>სახლი არქიმანდრიტისა, ერთსა ატაჟასა ზედა დადგმული, ორის ოთახითა და ოთხის თახჩითა; აივანი აქვს წინა კერძო და მარჯვნივ თავის ბუხრითა სხვათა ბერებისა სენაკები ბუხრებითა თვისითა, სასტუმრო სახლი, ერთი მარანი, ერთი ბეღელი და ორი ხულა</p>

ა	მაღალ ღირსი არხიმანდრიტი გიორგი მამა მონასტრისა ამის	არს წლისა შობილამ ნა	სამენგრელოს აზნაური კუხ-ალოვი ძე მღვდლისა იოანესი	უსწავლიეს კარგათ სამღ-რთო წერილები და წერა:- მაღალ ღირსის არხიმან-დრიტის ლაზარე აფ-აქიძისაგან ამავე მონას-ტერსა შინა	უკურთხებია დიაკვნად მღვდლად და არხიმან-დრიტად მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ქყონ-დიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს
ბ	ახლავს კრებული მღუდელმონა-ზონი სერაპიონ	არს წლისა შობილამ ნე	ჩიგოგიძე გურ-იასა მცხოვრები	უსწავიეს საეკლესიო წერ-ილები	უკურთხებია ყოვლად სამღუდელოს ჯუმა-თელ მიტროპოლიტს დიაკვნად და მღუდლად
გ	მღუდელ მონა-ზონი გიორგი	არს წლისა ნე-სა	სამენგრელოს კუკავა	უსწავიეს საეკლესიო წიგნი და წერა	უკურთხებია ყოვლად სამღუდელოს ცაიშელ მიტროპოლიტს დიაკვნად და მღვდლად
დ	მღუდელ მონა-ზონი ევთიმი	არს წლისა შობილამ ლა	სამენგრელოს აზნაური ასა-თიანი	უსწავიეს საეკლესიო წიგნი და წერა	უკურთხებია ყოვლად სამღუდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად და მღვდლად
ე	მღუდელ მონა-ზონი ლაზარე	არს წლისა ნე-სა	სამენგრელოსა მღუდლის იო-ანეს ძე დავითუ-ლიანი	უსწავიეს წიგნი საეკლე-სიონი	უკურთხებია ყოვლად სამღვდელო ცაგერელ მიტროპოლიტს სოფ-რომს დიაკვნად და მღუდლად
ვ	მღუდელ მონა-ზონი იაკობ	არს წლისა ნ-სა	მღვდლის დავი-თის ძე, სამენ-გრელო, მინდაძე	უსწავიეს საეკლესიო წიგნი	უკურთხებია ყოვლად სამღუდელოს ხინო წმიდელს იოანეს დიაკვნად და მღვდლად
ზ	მღუდელ მონა-ზონი სვიმონ, მოხუცებული	არს წლისა პ-სა	სამენგრელო, ხვადაგიანი	უსწავიეს საეკლესიო წიგნი	უკურთხებია ყოვლად სამღვდელოს ქყონ-დიდელ მიტროპოლიტს ანტონის დიაკვნად და მღუდლად
წ	მთავარდიაკონი გაიოზ	არს წლისა ნე-სა	სამენგრელო, გერსამია	უსწავიეს წერილები	უკურთხებია ყოვლად საღუდელოს ჯუმათელს იოსებს
თ	მწირი ბერი ლაზარე	არს წლისა ლ-სა			
ი	მწირი ბერი პეტრე	არს წლის ლბ-სა			

დ	სამთავროსა სოფელსა
სა- ცაგე რლო	ოყურემ სდგას ეკლესია სიონისა თლილის სპოტიოთი შენებული ერთსა მალალსა ადგილსა ზედა. არს ეკლესია ესე აღშენებული სახელსა ზედა წმიდისა მთავარ მონამისა გიორგისა. აღუშენებეს ეკლესია ესე შემწეობითა მთავრისა დადიანისა გრიგოლისითა, მთავრის დადიანის ოტიას ძეს გიორგი დადიანოვს.
ა	არს სიგრძე ეკლესიისა ამის ათშვიდმეტი ადლი, ხოლო განი ათი
ა	ტრაპეზი თეთრის თლილის ქვისა, ოთხსა სვეტსა ზედა დამყარებული, სიგრძე აქვს ერთი ადლი და ოთხი ჩეთვერთი, ხოლო განი ერთი ადლი. სუდარი ტილოსა ზედა საფარი რუსული ჩაქსული ტილო და მას ზედა საფარი
ბ	წმიდა სახარება სტამბისა
გ	ჯვარი ცხოველს მყოფელის ძელისა, მოჭედილი ვეცხლითა და უსხედს თვალი ხუთი. შეწირულ არს ძელისა ჯვარი ესე ეკლესიისა ამის დეკანოზის შიოსაგან. მეორე ჯვარი ხისა მოჭრილი და მოჭედილი ვეცხლითა. ძელისა იგი ჯვარი არს სიგრძით ერთი ნიშანი. სანაწილე ვეცხლისა. ორი შანდალი თითობისა
დ	სამკვეთლო შენებულსა კედელსა შინა დატანებული; საფარი ჩითისა
ე	სამღურთო ბარძიმი, ფეშხვემი, კამარა, კოვზი, ტაკუკი, საეველოგიე, სასაკმეველე, განსაზავებელი – ესე ყოველივე ვეცხლისა. საცეცხლური ვეცხლისა თავისის ჯაჭვებით. დაფარნები შავის სტოფისა
ვ	კანკელი აქვს ტილოსა ზედა ნახატი, თავის ჯვართა და სამეუფო კარები კარგის ხელოვნებით გამოჭრილი და ოქროს ვარაყით დახატული. კანკელზედ დაკიდებული კანდელი რუსულის რკინისა
ზ	არს ხატი წმიდის გიორგისა, ცალ პირზედ მოჭედილი მძიმედ და ოქროთი დაფერილი. აქვს გვირგვინი და უსხედს თვალი ცხრა რჩეულის ქვისა. ჴირის სახე და ხელები აქვს მინაწქრითა. სიგრძე აქვს ორი ადლი ხუთი ჩეთვერთი ერთი ნიშანი, ხოლო განი ერთი ადლი სამი ჩეთვერთი
წ	ხატი წმიდის გიორგისა, ცალ პირზედ მოჭედილი, სახე აღმოყვანილი და ოქროთი დაფერილი; შინაგა[ნი] გული, ხოლო აშია დაუფერველი. უსხედს გვირგვინსა შინა თვალი თორმეტი იაგუნდისა, ზურმუხტისა და ლალისა და ამასთან რვა ფირუზი და სამი მარგარიტი. ერთი თვალი მომწვანო იაგუნდის გულზედ უსხედს და ერთი ზურმუხტი სარტყელზედ და კუალად თვალნი იაგუნდისა და სხვადასხვა კარგის ქვისა ქამარზედ უსხედს. სიგრძე აქვს ორი ადლი, ხოლო განი ერთი ადლი და ექვსი ჩეთვერთი
თ	ხატი მცირის ტანის, წმიდის გიორგის ცალ პირზედ მოჭედილი ვეცხლითა, მოძველო
ი	ხატი მაცხოვრისა, ცალ პირზედ მოჭედილი ვეცხლითა, მოძველო
ია	ხატი წმიდის ნიკოლოზისა ფიცარსა ზედა ნახატი და გარემო რუსულის რკინით მოჭედილი
იბ	ხატი მაცხოვრისა, ფიცარსა ზედა ნახატი და რუსულის რკინით მოჭედილი და ვეცხლით დაფერილი
იგ	ხატი ლუთის მშობლისა ფიცარსა ზედა ნახატი. კუალად ხატი ნათლის მცემლისა, ფიცარსა ზედა ნახატი
იდ	ჯვარი სადაფისა შეწყობილი ორივეს კერძოთ ლუთის მშობელი და იოანე მახარებელი
იე	საიაზმე კალისა თავისის სახურავით და თავისის შემოსილის სკამით
ივ	ანალოლია შემკული ჩაქსული არძისა და ზედა საფარი ყუთნისა
იზ	საწიგნე რუსულის ჩაქსულის ტილოს სამოსითა და გარდასაფარებელი ყუთნისა
იწ	ხომლი სინისა, რომელსა ზედა აღენთების სანთელი – ათი
ით	სასანთლე ორი სინისა და ერთი რუსულის რკინისა ვერცხლით დაფერილი



ოყურეშის ეკლესიის სამრეკლო. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1910 წ.



ოყურეშის ეკლესია, სვამლის წმ. გიორგის ჭედური ხატის მოჩარჩოება, დარჩენილი ეკლესიის გაძარცვის შემდეგ.
დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, 1910 წ.

სამლუდელო შესამოსელი	
ა	<p>სტიხარი წითელი ბენდრისა თავისის სარჩულით. ოლარი ხავედის, სირმიანი, ჩაქსული. სარტყელი ყვითლის სტოფისა და სამკლავე დიბისა. ენქერი სირმით ნაკერი, მოძველო. ფილონი შავის სტოფისა</p> <p>ბ სტიხარი თეთრის სტოფის, მოძველო. ოლარი შავის სტოფის, სარტყელი სამკლავე შავის სტოფისა, მოძველო. ფილონი შავის სტოფისა</p> <p>გ სტიხარი ცისფრის განდიდურისა, მოძველო. ოლარი ყვითლის დიბისა, სამკლავე ხავერდის. ფილონი ცისფრის სტოფისა, ყვითლის დიბის საბეჭურითა, მოძველო</p> <p>აქვს მარცხენით კერძო ეკვდერი ქვითკირისა, აღშენებული სახელსა ზედა ნათლის მცემლის შობისასა</p> <p>არს ამას შინა ხატი მაცხოვრისა, მოჭედილი თითრბითა. კუალად ხატი ნათლის მცემლის, ფიცარზედ ნახატი. ხატი წმიდის გიორგისა, ფიცარზედ დახატული. და სხვა სამკაული არა რაი აქვს კუალად ეკვდერი აქვს შინაგან გალავნისა, ხისა არს</p> <p>სამრეკლო აქვს ულპოლველის ხისა, ოთხსა სვეტსა ზედა და კიდავენ მას ზედა ორი ზარა, უმცროს უმფროსი. შორავს ეკლესიათასა სამრეკლო ესე ათ სამმეტს ადღზედ. აქვს გალავანი ეკლესიასა ამას იმრგვლივ ქვითკირისა და არა წინათ კარისა კერძო.</p> <p>სენაკი აქვს ერთი</p>

ოყურეშის ეკლესიასა შინა მდგომნი სამღვდელონი თვით სოფელსა მას შინა ოყურეშისასა მცხოვრებნი

ა	დეკანოზი შიო	არს შობიდან წლის ოთ-სა	კეთილ-შობილი, ყრუაშვილი	უსწავიეს წერ-ილები კარგათ და წერა	უკურთხებია მის ყოვლად სამღვდელოებას ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად, მღვდლად და დეკანოზად	ყავს ძე სამი. ერთი ყავს დიაკვნად სწავლაშიდ, რომელსაც ეწოდების სახელად დიონოზ, არს წლისა იე-სა ორნი ჩჩვილნი
ბ	მღვდელი ნიკოლოზი	არს წლისა ნბ-სა	კეთილშობილი, მამარდაშვილი	უსწავიეს საეკლესიო წიგნი	უკურთხებია ყოვლად სამღვდელოს ცაგერელ მიტროპოლიტს სოფრომს დიაკვნად და ყოვლად სამღვდელოს ხინონშიდელს იოანეს მღვდლად	ყავს ძე ორი. ერთ-სა ეწოდების იოანე, არს წლისა კე-სა. მეორესა ეწოდების გიორგი, არს წლისა იბ-სა. უმრწემესა ამას ზრდის სამღვდელოდ

ბ	მღვდელი ვასილი	არს წლისა ლე-სა	კეთილშობილი, მამარდაშვილი	უს-წავიეს საეკლესიო წიგნი	უკუთხებია ყოვლად სამღვდელის ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად და მღვდლად	ყავს ძე ორი ერთსა ეწოდების სვიმონ. არს წლისა ი-სა. მეორესა ეწოდების გიორგი არს წლისა დ-სა.
დ	მღუდელი იოანე	არს წლისა ლზ-სა	მსახური, მამარდაშვილი	უს-წავიეს საეკლესიო წიგნი და წერა	უკუთხებია ყოვლად სამღუდელის ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს დიაკვნად და მღუდლად	ყავს ძე ორი. ერთსა ეწოდების გიორგი არს წლისა ი-სა. მეორესა დავით, არს წლისა თ-სა.
ე	სამთავროს სოფელსა					
